საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 1 დეკემბრის №69 სხდომის მიერ

გამოკითხვის წესით მიღებული

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარუდგინა საკითხი სტუ-ის 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილება, კერძოდ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად (ხელშეკრულება №601, 2014 წლის 11 ნოემბერი), სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დიდი ჯიხაიშის კოლეჯში საპილოტე მოდულების განხორციელება ფინანსდება 15 303 ლარით და საჭიროებს ბიუჯეტის გაზრდას იგივე თანხით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდოს სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 15 303 ლარით, ხოლო ხარჯები გაიწეროს „დიდი ჯიხაიშის კოლეჯის საპილოტე მოდულების დაფინანსების პროგრამით“ თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე